

PEACE CORPS

**Agreement Between the
UNITED STATES OF AMERICA
and GEORGIA**

Signed at Tbilisi April 24, 2001



NOTE BY THE DEPARTMENT OF STATE

Pursuant to Public Law 89—497, approved July 8, 1966
(80 Stat. 271; 1 U.S.C. 113)—

“ . . . the Treaties and Other International Acts Series issued under the authority of the Secretary of State shall be competent evidence . . . of the treaties, international agreements other than treaties, and proclamations by the President of such treaties and international agreements other than treaties, as the case may be, therein contained, in all the courts of law and equity and of maritime jurisdiction, and in all the tribunals and public offices of the United States, and of the several States, without any further proof or authentication thereof.”

GEORGIA

Peace Corps

*Agreement signed at Tbilisi April 24, 2001;
Entered into force August 14, 2003.*

Agreement between the Government of the United States and the Government of Georgia on the Peace Corps Program

Preamble

Whereas the Government of the United States of America (hereafter "the United States") and the Government (Executive Power) of Georgia (hereafter "Georgia") recognize the importance of developing mutually advantageous relationships and cooperation between their countries; and

Whereas the Peace Corps is an agency of the United States that provides technical assistance to, and promotes international understanding and friendship with, interested nations outside of the United States by sending qualified United States citizens to live and perform volunteer work in such interested nations (hereafter "Peace Corps Volunteers"); and

Whereas Georgia has expressed its interest in receiving Peace Corps Volunteers;

Now, therefore, the United States and Georgia have agreed as follows:

ARTICLE I

1. The United States shall furnish such Peace Corps Volunteers as may be requested by Georgia and approved by the United States to perform mutually agreed tasks in Georgia.
2. The Volunteers shall work under the immediate supervision of Governmental and private organizations in Georgia designated by the two parties.
3. The United States shall provide training to enable the Volunteers to perform their tasks in the most effective manner.
4. Georgia will provide financial or other contributions or assistance as the two parties may agree.

ARTICLE II

1. Georgia shall accord equitable treatment to the Volunteers and the personnel performing functions under contract with the Peace Corps and their dependents and property; accord them and their property full aid and protection, including treatment no less favorable than that accorded generally to nationals of the United States residing in Georgia; and fully inform, consult, and cooperate with representatives of the United States with respect to all matters concerning them.
2. Georgia shall exempt the Volunteers and persons performing functions under contract with the Peace Corps who are not citizens or permanent residents of Georgia from all taxes on payments that they receive to defray their living costs, on income derived from their Peace Corps work, and on income from other sources outside Georgia; from all customs duties or other charges on their personal property introduced into Georgia for their own use; and from all other taxes or other charges (including immigration/visa fees), except license fees. Georgia shall issue residence permits and visas (including multiple-entry visas), without fee or other charge, to Volunteers and persons performing functions under contract with the Peace Corps.

ARTICLE III

1. The United States shall provide the Volunteers, the Peace Corps representative, and staff of the representative with such limited quantities of equipment and supplies as the two parties may consider necessary to enable the Volunteers to perform their tasks effectively.
2. Georgia shall exempt from all taxes (including Value-Added Taxes), customs duties, and other charges all equipment, supplies, and other goods and services introduced into or acquired in Georgia by the United States, or any contractor financed by it, for use hereunder.

ARTICLE IV

1. Georgia shall grant the Peace Corps representative and such staff of the representative (including employees and contractor personnel as designated by the representative) and members of their families forming part of their households, status equivalent to that accorded administrative and technical staff personnel of the Diplomatic Mission of the United States, except they shall not be accorded immunities.
2. To enable the United States to discharge its responsibilities under this agreement, Georgia shall receive a Peace Corps representative and such staff of the representative (including employees and contractor personnel as designated by the Peace Corps representative), and members of their families forming part of their households, as are acceptable to Georgia. Notwithstanding the provisions of any other agreement, Georgia shall exempt such persons, and members of their families forming part of their households, who are not citizens or permanent residents of Georgia from all taxes on income derived from their Peace Corps work or other sources outside Georgia, from all customs duties and other charges on their personal property introduced into Georgia for their own use; and from all other taxes or other charges (including immigration/visa fees), except license fees.
3. Georgia shall issue residence permits and visas (including multiple-entry visas), without fee or other charge, to the Peace Corps representative, staff, and individuals performing functions under this agreement, and members of their families forming part of their households.

ARTICLE V

1. Georgia shall exempt from investment and deposit requirements and currency controls all funds introduced into Georgia for use in accordance with this agreement by the United States or contractors financed by it. Such funds shall be convertible into the currency of Georgia at the highest rate that is not unlawful in Georgia.

ARTICLE VI

1. Appropriate representatives of the two parties may from time to time make such arrangements with respect to Peace Corps Volunteers and Peace Corps programs in Georgia as appear necessary or desirable for the purpose of implementing this agreement.
2. Any disputes arising under this agreement shall be resolved amicably by the two parties.

ARTICLE VII

The undertakings of each party herein are subject to the availability of funds.

ARTICLE VIII

This agreement may be amended from time to time by mutual consent of the two parties. In the event of a conflict between this agreement and a future agreement regarding cooperation to facilitate assistance, this agreement shall prevail concerning the Peace Corps program.

ARTICLE IX

This agreement shall enter into force when it is 1) signed by representatives of the United States and Georgia and 2) ratified by the Parliament of Georgia and shall remain in force until ninety days after the date of the written notification from either party to the other of its intention to terminate the agreement.

Done at Tbilisi, Georgia

on April 24, 2001

In duplicate in the English and Georgian languages, each text being equally authentic.

**For the Government of the
United States of America:**

Kenneth S. Yabart

**For the Government
of Georgia:**

[Signature]

**შეთანხმება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და
საქართველოს მთავრობას შორის საქართველოში მშვიდობის კორპუსის
პროგრამის შესახებ**

პრეამბულა

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა (შემდგომში "შეერთებული შტატები") და საქართველოს მთავრობა (აღმასრულებელი ხელისუფლება) (შემდგომში საქართველო) აღიარებენ, რა ორივე მხარისათვის მომგებიანი ურთიერთობებისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას; და

ვინაიდან მშვიდობის კორპუსი არის შეერთებული შტატების სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას, და ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობებისა და მეგობრობის განვითარებას, შესაბამისი განათლების მქონე შეერთებული შტატების მოქალაქეების გაგზავნით დაინტერესებულ სახელმწიფოებში საცხოვრებლად და მოხალისეებად სამუშაოდ (შემდგომში მშვიდობის კორპუსის მოხალისენი); და

ვინაიდან საქართველომ გამოხატა თავისი დაინტერესება მშვიდობის კორპუსის მოხალისეების საქართველოში საქმიანობით;

შეერთებული შტატები და საქართველო შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

1. შეერთებული შტატები უზრუნველყოფს მოხალისეთა მშვიდობის კორპუსის ფორმირებას საქართველოს მოთხოვნის შესაბამისად და ამერიკის შეერთებული შტატების დამტკიცებით, რათა შესრულდეს ორივე მხარის მიერ შეთანხმებული ამოცანები საქართველოში.
2. მოხალისეები იმუშავებენ საქართველოში არსებული სამთავრობო და კერძო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ, რომლებიც შერჩეული იქნებიან ორივე მხარის მიერ.
3. ამერიკის შეერთებული შტატები უზრუნველყოფს მოხალისეთა სწავლებას, რათა მოხალისეებმა ამოცანები სრულყოფილად შეასრულონ.
4. საქართველომ შესაძლოა გაიღოს ფინანსური ან სხვა სახის დახმარება, ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 2

1. საქართველო სამართლიანად მოეპყრობა მოხალისეებსა და მშვიდობის კორპუსთან კონტრაქტის საფუძველზე მომუშავე პერსონალს, და ასევე მათ კმაყოფილებაზე მყოფ პირებსა და ქონებას; უზრუნველყოფს ამ პირებისა და მათი ქონების უსაფრთხოებასა და დაცვას, შეუქმნის მათ არანაკლებ პირობებს, ვიდრე საქართველოში მცხოვრებ ამერიკის მოქალაქეებს გააჩნიათ; და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის თაობაზე მიაწვდის ინფორმაციას, გაშართავს კონსულტაციებსა და ითანამშრომლებს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებთან.
2. მოხალისეებსა და კონტრაქტის საფუძველზე მომუშავე პერსონალს, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირები, საქართველო გაათავისუფლებს გადასახადისაგან, რომელიც დაკავშირებულია მათი საცხოვრებელი ხარჯების დაფარვასთან, მშვიდობის კორპუსისათვის განხორციელებული სამუშაოს შედეგად მიღებულ შემოსავალთან და საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული წყაროებიდან მიღებულ შემოსავალთან; ყველა საბაჟო და სხვა სახის გადასახადისაგან პირადი სარგებლობისათვის საქართველოში შემოტანილ ნივთებზე; ასევე ყველა სხვა გადასახადისაგან და მოსაკრებლისაგან (საიმფრაციო/საფიზო გადასახადის ჩათვლით), ლიცენზიის მოსაკრებლის გარდა. საქართველო მოხალისეთათვის და კონტრაქტის საფუძველზე მომუშავე პერსონალისათვის გასცემს ბინადრობის მოწმობას და ვიზას (მათ შორის მრავალჯერად ვიზებს), რაიმე გადასახადისა და მოსაკრებლის გარეშე.

მუხლი 3

1. შეერთებული შტატები უზრუნველყოფს მოხალისეებს, მშვიდობის კორპუსის წარმომადგენელსა და წარმომადგენელთან მომუშავე პირებს იმ რაოდენობის ტექნიკითა და მოწყობილობით, რასაც კი ორივე მხარე აუცილებლად საჭიროდ მიიჩნევს მოხალისეთა მიერ დაკისრებული ამოცანების ეფექტური შესრულებისათვის.
2. საქართველო გაათავისუფლებს გადასახადისაგან (დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით), საბაჟო გადასახადისაგან და სხვა მოსაკრებლისაგან, რაც დაკავშირებულია ზემოთნახსენებ ტექნიკასა და მოწყობილობასთან, და სხვა საქონელსა და მომსახურებასთან, რომელიც საქართველოში შემოტანილი ან შეძენილი იქნება შეერთებული შტატების, ან მის მიერ დაფინანსებული ნებისმიერი კონტრაქტორის მიერ.

მუხლი 4

1. საქართველო მშვიდობის კორპუსის წარმომადგენელს და წარმომადგენელთან მომუშავე პირებს (მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლის მიერ დანიშნული თანამშრომლებისა და დაქირავებული პერსონალის ჩათვლით) და მათი ოჯახის წევრებს მიანიჭებს ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური

მისიის ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის თანაბარ სტატუსს, ოპუნიტეტის გამოკლებით.

2. საქართველო მიიღებს მშვიდობის კორპუსის წარმომადგენელს და წარმომადგენელთან მომუშავე პირებს (მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლის მიერ დანიშნული თანამშრომლებისა და დაქირავებული პერსონალის ჩათვლით), და მათი ოჯახების წევრებს, საქართველოსათვის მისაღები გზით, რათა შეერთებულ შტატებს საშუალება მიეცეს განახორციელოს შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ნებისმიერი სხვა შეთანხმებით გათვალისწინებული დებულების მიუხედავად, საქართველო გაათავისუფლებს ხსენებულ პირებსა და მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქენი ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირები, ყველა სახის გადასახადისაგან, რომელიც დაკავშირებულია მათ მიერ მშვიდობის კორპუსისათვის განხორციელებული სამუშაოს შედეგად მიღებულ შემოსავალთან და საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული წყაროებიდან მიღებულ შემოსავალთან; ყველა საბაჟო და სხვა სახის გადასახადისაგან პირადი სარგებლობისათვის საქართველოში შემოტანილ ნივთებზე; ასევე ყველა სხვა გადასახადისაგან და მოსაკრებლისაგან (საიმფრაციო/სავიზო გადასახადის ჩათვლით), ლიცენზიის მოსაკრებლის გარდა.
3. საქართველო გასცემს ბინადრობის მოწმობას და ვიზას (მათ შორის მრავალჯერად ვიზას), რაიმე გადასახადისა და მოსაკრებლის გარეშე, მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლისათვის, პერსონალისათვის და ამ შეთანხმების საფუძველზე მომუშავე პირებისათვის, და ასევე მათი ოჯახის წევრებისათვის.

მუხლი 5

საქართველო გაათავისუფლებს საინვესტიციო თუ სადებოზიტო მოთხოვნებისაგან და ფულადი მიმოქცევის კონტროლისაგან მთლიან ფულად სახსრებს, რომელიც საქართველოში გამოყენებისათვის შემოვა ამ შეთანხმების შესაბამისად, შეერთებული შტატების ან მის მიერ დაფინანსებული კონტრაქტორების მიერ. მსგავსი ფულადი სახსრების კონვერტირება უნდა მოხდეს საქართველოში კანონით დაშვებული უმაღლესი კურსით.

მუხლი 6

1. ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლები, მშვიდობის კორპუსის მოხალისეებისა და მშვიდობის კორპუსის პროგრამებთან დაკავშირებით დროდადრო დადებენ შეთანხმებებს, რომელიც აუცილებელია ან მიზანშეწონილი იქნება ამ შეთანხმების შესრულებისათვის.
2. ამ შეთანხმების საფუძველზე წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ორივე მხარეს შორის შეგობრული შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 7

თითოეული მხარის მიერ ღონისძიებათა განხორციელება დამოკიდებულია სათანადო ფულადი სახსრების არსებობაზე.

მუხლი 8

ორივე მხარის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია შეთანხმებაში დროდადრო ცვლილებების შეტანა. თუკი ეს შეთანხმება წინააღმდეგობაში მოვა დახმარების თაობაზე თანამშრომლობის შესახებ მომავალში დადებულ შეთანხმებასთან, მშვიდობის კორპუსის პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე უპირატესობა მიენიჭება ამ შეთანხმებას.

მუხლი 9

ეს შეთანხმება ძალაში შევა: 1) შეერთებული შტატებისა და საქართველოს წარმომადგენლების მიერ მისი ხელმოწერისა და 2) საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირების შემდეგ და ძალაში რჩება ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისადმი ამ შეთანხმების შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინებიდან 90 დღის გასვლამდე.

შესრულებულია: თბილისი, საქართველო თარიღი: 24 აპრილი, 2001

ინგლისურ და ქართულ ენებზე, თითოეულ ტექსტს აქვს თანაბარი ძალა.

ამერიკის შეერთებული შტატების
მთავრობის სახელით:



საქართველოს მთავრობის
სახელით:

